



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 132/ს  
23/03/2023

132-21-4-202303231134



**ქ. კასპში ი/მ სერგო ჯოჯიშვილის პლასტმასის ნაკეთობების და პლასტმასის  
გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების  
ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

ი/მ სერგო ჯოჯიშვილის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. კასპში პლასტმასის ნაკეთობების და პლასტმასის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წლის 6 სექტემბერს ი/მ სერგო ჯოჯიშვილის ნარჩენების აღდგენაზე (პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავება და პლასტმასის ნაკეთობების წარმოება) გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №62 და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ბრძანება №ი-626). აღნიშნულის საფუძველზე, 2019 წლის 7 ოქტომბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-960).

2019 წლის 9 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტში, ი/მ სერგო ჯოჯიშვილის პლასტმასის ნაკეთობების და პლასტმასის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1193), რომლის შესაბამისად საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო მდებარეობს ქ. კასპში, ჭავჭავაძის ქუჩა №35-ში, ი/მ სერგო ჯოჯიშვილის საკუთრებაში არსებულ, 3 500 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.01.17.001). უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 15 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო (№6) საამქროდან დაშორებულია დაახლოებით 27 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე ხორციელდება ნარჩენების აღდგენა და პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულებიდან სხვადასხვა სახის პლასტმასის ნაკეთობების წარმოება. გზშ-ის ანგარიშისა და №62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საწარმოში ხორციელდებოდა 141.6 ტ/წელ ნარჩენების აღდგენა. ამასთან,

პლასტმასის ნაკეთობების საწარმოებლად, დამატებით გამოიყენებოდა, შესყიდული პოლიეთილენის გრანულები, რის შედეგადაც მიიღებოდა სხვადასხვა სახის პლასტმასის ნაკეთობები (315.720 ტ/წელ). 2019 წლის 9 დეკემბერს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, გაიზარდა (315.720 ტონიდან 693 ტონამდე) ობიექტზე წარმოებული პლასტმასის ნაკეთობებისა და გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა (141.6 ტონიდან 195 ტონამდე).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, კვლავ გათვალისწინებულია პლასტმასის ნაკეთობების წარმოების გაზრდა წლიური 693 ტონიდან 1008 ტონამდე, ხოლო, გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა (195 ტ/წელ) რჩება უცვლელი. ასევე არ იცვლება ობიექტის ტექნოლოგიური სქემა და სამუშაო რეჟიმი. კერძოდ, საწარმო იმუშავებს 300 დღე/წელ, დღე-ღამეში 10 საათი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა დამატებით ერთი ახალი (№6) საამქრო, სადაც პლასტმასის ნაკეთობების დასამზადებლად განთავსდება ხუთი ერთეული სხვადასხვა წარმადობის მქონე თერმოპლასტავტომატი, რომელთაგან, 4 ერთეული იქნება 20 კგ/სთ წარმადობის, ხოლო ერთი - 25 კგ/სთ წარმადობის. შესაბამისად, №6 საამქროს წარმადობა იქნება 105 კგ/სთ, (315 ტ/წელ). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, ობიექტის ჯამური წარმადობა გახდება 1008 ტ/წელ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში ნედლეულად გამოიყენება როგორც ობიექტზე აღდგენილი, ისე შემოზიდული პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულები, თუმცა მოცემული არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ობიექტზე შეტანილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, დასაზუსტებელია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გაზრდილი რაოდენობით შეტანილი ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირების საკითხი.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული №6 საამქროს (შენობა) მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია (გამოსაყენებელი ტექნიკა, სავარაუდო ხანგრძლივობა და სხვა), რაც საჭიროებს დაზუსტებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენებული იქნება საწარმოო, სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის, რისთვისაც წყალაღება ხდება ე. კასპის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო წყლის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში საწარმოში წყალაღება გათვალისწინებულია ლიცენზიის ფარგლებში არსებული ჭაბურღილიდან. ტექნოლოგიურ პროცესში წყალი გამოიყენება გაციების პროცესში, რომელიც იქნება ბრუნვით სისტემაშია და მისი რაოდენობა არ აღემატება 25 მ<sup>3</sup>-ს. დანაკარგის შესავსებად საწარმოს დღეში ესაჭიროება 0,1 ლიტრი წყალი, რაც წლიურად შეადგენს 30 მ<sup>3</sup>-ს. წლის განმავლობაში ჯამურად გამოსაყენებელი ტექნიკური წყლის ხარჯი შეადგენს 55 მ<sup>3</sup>-ს. გაციების სისტემის დაცლის შემთხვევაში მოსალოდნელია 25 მ<sup>3</sup> ჩამდინარე წყლის წარმოქმნა, რომლის ჩაშვება გათვალისწინებულია ე. კასპის საკანალიზაციო სისტემაში. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები ასევე დაერთდება ე. კასპის საკანალიზაციო სისტემაზე. რაც შეეხება სანიაღვრე

წყლებს, იმის გათვალისწინებით, რომ დანადგარები განთავსებული იქნება შენობაში (№6 საამქრო), სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირებისას მოსალოდნელია წარმოიქმნას პლასტმასის ნარჩენი წარმოებული პროდუქციის წუნის სახით, რომელიც გადამუშავდება საწარმოშივე. ობიექტის ექსპლუატაციისას ასევე მოსალოდნელია წარმოიქმნას მცირე რაოდენობის შავი ლითონის ჯართი (დანადგარების გამოცვლილი დეტალების სახით), რომელიც გროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და გადასამუშავებლად გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. საწარმოს ფუნქციონირებისას წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტში მოცემული არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული №6 საამქროს მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: მტვერი, პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა, ფორმალდეჰიდი და უჯერი ნახშირწყალბადები. სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს წარმადობა იზრდება დაახლოებით 1/3-ით, თუმცა, დოკუმენტში მოცემული არ არის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ხარისხობრივი შეფასება უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული №6 საამქროს მოწყობისა და ფუნქციონირების პროცესში ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით, საჭიროებს შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს სიახლოვეს არ არის მსგავსი ტიპის საწარმო(ებ)ი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს ადგილმდებარეობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გაზრდილი წარმადობის (1008 ტ/წელ) გათვალისწინებით, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე. ამასთან, პროექტთან დაკავშირებით, საჭიროა სხვადასხვა საკითხების დაზუსტება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. კასპში ი/მ სერგო ჯოჯიშვილის პლასტმასის ნაკეთობების და პლასტმასის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ სერგო ჯოჯიშვილი ვალდებულია უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ სერგო ჯოჯიშვილს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ სერგო ჯოჯიშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო